

# ო რ ი ს ი ტ ყ ვ ა

დიდებულის საქართველოს მეფის ერეკლე მეფის გარ-  
დაცვალებიდგან ასი წლის შესრულების გამო.



შემოსავალი ამ წიგნისა გადადებულია მცხეთის სვეტი-ცხოვ-  
ლის ტაძრის განსაახლებლად.

## ტ ყ ი ლ ი ს ი

ს ტ რ ა მ ბ ა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქუჩა, 21,  
1898

ମୁଖ ରକ୍ତିମ୍ବୁ ପାଦିବୁ



ଶବ୍ଦବରତାନ୍ତର

# ო რ ი ს ი ტ უ ვ ა

დიდებულის საქართველოს მეფის ერეკლე მეფის გარ-  
დაცვალებიდგან ასი წლის შესრულების გამო.



შემოსავალი ამ წიგნისა გადადებულია მცხეთის სვეტი-ცხოვ-  
ლის ტაძრის განსაახლებლად.

ტ უ ვ ა ლ ი

ს ტ უ ვ ა მ . შ ა რ ა ძ ი ს ა დ ა ა მ ნ . ნ ი კ . ქ უ ჩ ა , 21.  
1898

Дозволено духовною цензурою. Тифлисъ, 19-го  
февраля 1898 г.

# ს ი მ ყ ვ ა

დადებულის საქართველოს მეფის ერქველე მეფორისათვის  
წირვისა და პანაშვიდის გარდახდის დროს.

სახელითა მამისათა, და მისათა, და სულისა წმი-  
დისათა.\*)



რის ბუნებაში ერთგვარი მოვლენა, რომელიც  
ბევრს გვინახავს ჩვენ სიცოცხლეში და ამისა  
თვის ბევრს გვეცნობა. ჩვენი ტურფა, კეკლუ-  
ცი და ღვთის თითოთ ნახატი ქვეყნის შვილის-  
თვის არ შეადგენს დიდს იშვიათობას ის სურათი, რო  
მელსაც წარმოადგენს უშველებელი ტბა, კალოსავით  
გადაჭიმული მოზრდილი მთის ვაკობში. საოცნებოა  
ამ გვარი ტბის მზერა, თვალთ დამატყვევებელია მის  
ნაპირთა მოხაზულობა, აღმაფრთოვანებელი, წარ-  
მტაცი და შეუგინებელი სიამოვნებით აღმავსებელია  
მისი ანკარა, ციალა, სარკესავით სწორე გული.  
აგერ მოიკლა უინი თვალმა, მოღალა ივი შვებათა  
ფერად ფერადი აფრების განუწყვეტელმა რხევა-  
ფრიალმა, აევსო გულსა უანგარო სიამოვნების ფია-  
ლა, მოსწყინდა გონსა ოცნებათა უფრსკრულში

\* ) წარმოითქვა არხიმანდრიტის ლეონიდის მიერ 22 თე-  
ბერვალს მცხეთის საკრებულო ტაძრში.

დაუსვენარი მონაცარდობა და, თითქოს ამ დამათ-  
რობელი, გამტაცებელი და მომხიბლავი სურათის  
გაბრთხობის მოწადინებულნი, სწვდებით იქავ თქვენს  
ახლოს ქვას და ანაზღეულად უპობთ მითი გულს  
მყუდრო, დამშვიდებულ, უძრავად შეჩერებულ ტბას.  
აპა, ჩაინთქა თქვენ მიერ ნატყორცნი ქვა წყლის  
სიღრმეში, მაგრამ სამაგიეროთ, ელვის სისწრაფით,  
ისროლა მანცა ქვეიდგან ზევით საუცხოვო წყლის  
რგოლი, რომელიც იმავ წამს შემოიხაზა მეორე,  
მოზღიული რგოლით, მეორეს გარს შემოევლო მე-  
სამე, მესამე ჩავარდა მეოთხის გულში, მეოთხეს  
მოჰყვა მეხუთე, მეექვსე..., ვიდრე ყველანი და-  
სასრულ არ შემოსარტყლა საერთო წრემ, რომლის  
სივრცე უდრის თვით ტბის პირის სივრცეს და  
ახლა-კი მას სარტყელათ აკრავს ტბის კიდეების სა-  
ლი კლდეები.

სწორეთ ამ ნაცნობს და ბევრისაგან ნახულ  
სურათს მაგონებს და მიყენებს თვალთ წინ ეს  
დღევანდელი ჩვენი აუარებელი კრება, რომელ-  
საც ამ უამაღ ასულდგმულებს და ამოქმედებს წრფე-  
ლი წადილი დაუვიწყარი, ძვირფასი და სასიქადუ-  
ლო ერეკლე მეორის ხსენებისა, მისი ნათელ მო-  
სილი სულის საოხად გულის სიღრმიდან აღმონა-  
დენი ლოცვა-ვედრების ლვთისადმი შეწირვისა. დი-  
დი სახელი ჰქონდა ერეკლეს სიცოცხლის დროს,  
მტკიცეთ უყვარდათ იგი მის ქვეშევრდომთ, მაგრამ

ეს კია რომ ერთობ მცირე და ვიწროდ შემოზღუდული იყო ამ ერთგულ ქვეშევრდომთა წრე; ნამდვილი რომ ვსთქვათ ამ წრის ფარგალს შეადგენდა მარტო კახეთი თავისი მიდამოებით. ესაა, სხვათაშორის, უმთავრესი მიზეზი, რომ ამ დიდ ბუნებოვან და ღვთისაგან რჩეულ გვამს დაედო ზედ წოდება: „პატარა კახი“.

სულ სხვა ნაირათ იცვლება სურათი შემდეგ ერეკლეს სიკვდილისა. სახელი „პატარა კახი“ ანდა-მატივით მიმზიდველი შეიქმნა ქართლელისთვისაც; ქართლის მკვიდრნიც მეფე ერეკლეს სახელს იხსენიებენ იმ გვარივე მოწიწებით, პატივის ცემით და სათაყვანო კრძალულებით, რა გვარი კრძალულება და პატივის ცემით მოსილიყო იგი კახეთში; ქართლის არე-მარესაც მოეფინა ერეკლეს მიმართ ქებათა-ქება, მის საგმიროთა საქმეთა გამო აღტა-ცებული თხრობა-უბნობა. ერთი სიტყვით, აღივსო ქართლი ღირსეული მეფის ღირსეული სიყვარულით, აღივსო იმ ზომით, რომ ვეღარც-კი შესძლო მისი დატევა მხოლოდ ოვის გულში, გადახეთქა ამ სიყვარულის მძლავრმა ტალღამ ქართლის სამზღვარი, ზღვასავით მოედო იმერეთის მკვიდრთ და ისე გაუჯდა მათ მკვირცხლ ბუნებას, როგორც მაცოცხლებელი წყლის ნაკადული ურწყაობითა გაჭირვებულ ხნულს. დღეს ერეკლეს სახელის განუსაზღვრელ სიყვარულს უჭირავს ჩვენ-

ში იმ სიფართოის წრე, რა სიფართოისაც არის  
მთლათ საქართველო. ყველამ ვიცით, რა სიამოვ-  
ნებით და ერთგულებით იკრიბება დღეს საქართვე-  
ლოს ყოველ ალაგს ერეკლესაგან, ან ერეკლეზე  
ნათქვამ-გაგონილი, რა აღტაცებით და ხალისით  
იკითხება როგორც მოზრდილი, ისე მოზარდი თაო-  
ბისაგან ყველაფერი, რაც-კი ითქმის ამ სათაყვანო  
მეფის შესახებ; ერეკლე თითქოს ხელ-ახლა დაუ-  
ბრუნდა თავის სამშობლოს, თითქოს ყოველი ქარ-  
თველი თვალითა ხედავს ამ გმირთა გმირსა და, რაც  
ძალა აქვს, ცდილობს იგი ადიდოს, მას ეთაყვა-  
ნოს.

დიდი ხანი არ არის, სულ ორმოცუი დღეა მას  
უკან, რაც ყოველმა ჩვენგანმა საკუთარი თვალით  
იხილა, რა ალაგიც უჭირავს ერეკლეს სახელს ყო-  
ველი ქართველის გულში განურჩეველად იმისა,  
ქართლელია ეს ქართველი თუ კახელი, იმერელი  
თუ ამერელი, მთიელი თუ ბარელი, ქალაქელი თუ  
სოფლელი. ვის არ ახსოეს მიმიდინარე წლის იანვ-  
რის თერთმეტი რიცხვი, როდესაც ჩვენ დედა ქა-  
ლაქში ქართველობა, თავადი და გლეხი, მეცნიე-  
რი და უვიცი, მდიდარი და ლარიბი, მამა-კაცი  
და დედა-კაცი, კარგად მყოფი და სნეული, ბედ-  
ნიერი და ჩაგრული ერთ პირად და ერთ გულად  
გატაცებული გულმხურვალობით ავედრებდნენ სიო-  
ნის სასწაულთ მოქმედ ღვთის მშობლის ხატს თა-

ვიანთ მოამაგე და უანგარო მოჭირნახულე ერეკ-ლეს?

მაგრამ რათ ვამობ მარტო დედა-ქალაქს? შავი ზღვის კიდეთგან კასპიის ზღვამდე ყველა ქართველს უხსენებია და შეუვეძრებია ღვთისოვის მეფე-ერეკლე.

რამ გამოიწვია თვით დღევანდელი ეს ჩვენი კრება? ვინ მოგვიყვანა, თუ არა ერეკლეს სიყვარულმა, ესოდენი დარბაისელნი ქართლელნი, გულუხვ-ვაჟ-კაცნი კახელნი, ზრდილობიანნი იმერნი, კეთილშობილნი გურულნი, სიცოცხლით სავსე მეგრელნი და სხვანი? ახ, რა ნეტარებით, რა ბედნიერებით, რა სიამოვნებით, რა სიხარულით აღივსებოდი, კეთილო მეფევ, რომ ღვთის გაგნებით წარმოდგებოდე მაგ შენი ასი წლის სავანე-სამარისაგან და იხილავდე შენი თვალითა შენივე სახელით ქართველების გაერთებასა, მათ საღმრთო წადილთა იგივეობას, ქართლელ-კახელ-იმერელთ ერთ სულობას და ძმობასა! მაგრამ იხარე სულით, მნათობო მეფევ! მართალია, ვერ მოესწარ სიცოცხლეში შენი მაღალი წადილის განხორციელებას — „შეკრებას შვილთა შენთა, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა“, გარნა ეს შენი საღმრთო ნატვრა დღეს ჩვენთვის გარდაიქმნა სინამდვილეთ იმ დიდი, სახელოვანი და წარჩინებული ღვთის მოსავი ერის წყალობით, რომელიც

შენმა მალალმა გონებამ, ღვთივ განბრძნობილმა სულმა და სათნოებით აღსავსე გულმა აგარჩევინეს შენი დასუსტებული ერის მცველ-ანგელოზათ.

რითი გამოვთქვათ, პატივცემულნო მსმენელნო, ჩვენი გულითადი მადლობა იმის მიმართ, ვისი მოწყალებითაც დღეს ქართველი ქართველს ღვიძლ ძმათა სკნობს და ძირს აღარ უთხრის ჩვენს ეროვნობას აღრინდელი უთანხმოება, შური და საძრახისი მტრობა-ჭიშპობა? რა სათანადო, რა გვარ ღირსეული და შესაფერი საქმით უნდა აღიბეჭდოს ჩვენგან ეს ფრიად საგულისხმო და მარად სახსოვარი ჩვენი კრება? რითი ვყვათ უკვდავი სახელი ერკლესი? ის ერთგული და ერთსული სიყვარული, რომელიც დღეს ყველა ქართველს ღრმადა აქვს გულში ჩანერგილი, უძირფასესი ხელთ უქმნელი ძეგლია მისის უკვდავებისა, მაგრამ ეს არ კმარა! საჭიროა კიდევ ძეგლი ხელთ-ქმნილი. სად და რა გვარად უნდა იყოს აღმართული ეს ძეგლი? აპა, საყვარელნო მამანო, ძმანო, დედანო და დანო! ძეგლი იგი განმზადებულ არს! ძეგლი იგი აღმართა განუსაზღვრელმა ქრისტეს მიერ სიყვარულმა ჩვენთა წინაპართა. აქვე, ჩვენს ახლოს, აღმართულ არს ძეგლი იგი და ესე „სვეტი ცხოვლი“, მომფენი წარსულში ნათლისა და მაჩვენებელი გზისა ქართველთა ერისა; სვეტი ცხოველი—ქართველთა ემბაზი, დედა ქართველთა ეკლესისა, სამარხი ქართქველ-

თა მეფეთა და ოვით ერეკლესიც. და, აპა, ტაძარი ესე, საღაც განისვენებს მეფე ერეკლე, საღ დამარხულია. მთელი ჩვენი წარსული დიდება, ეს ძვირფასი ნეშტი, დიდებული მოწამე წარსულთა დროთა დღეს მოსპობისა და განადგურების პირსა მისულა!...

ნიშნად ჩვენის ერთობისა, ნიშნად ერეკლეს უკვდავის სახელისა და სიყვარულისა დავდვათ ფიცი, აღვადგინოთ ტაძარი ესე. ქართლელი, კასელი, იმერელი, გურული, მეგრელი, მთიელი და ბარელი ყველანი ერთად შეუდგეთ საქმეს, ნუ დავიშურებთ ჩვენს წვლილსა, დავაწუროთ საკუთარი ოფლი ამ მამა-პაპათაგან ნაშრომ კედლებს და შევამკოთ ისე, როგორც შეჰვერის ჯერ ძელ ჭეშმარიტს და მერე-სავანეს ჩვენთა მეფეთა და მათ შორის ერეკლესასაც.

სვეტო ცხოველო, ძალო და სიმტკიცეო ქრისტიანეთაო, მოგვეც ძალი და მხნეობა წმინდა საქმეში, დაგვინერგე გულთაშინა ჩვენთა მტკიცე და უქცეველი წადილი ამ წმინდა ტაძრის განახლებისა საღიდებელად ღვთისა მამისა, მარადის სახსენებელად სახელისა ღვთივ გარდაცვალებულისა საქართველოს მეფის ერეკლესი, ქართველი ერის საკეთილ დღეოთ და ქართველთ პატრონის, ქრისტეს მოყვარე, დიდი ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზის საღლეგრძელოთ, საბედნიეროთ, სასიქადულოთ და სასახელოთ! ამინ.

# სიტყვა

მეცნ ერეპლე გეორგის პანაზილის გარდახდის დროს.

ჭიგნებ დღეთა მათ შირველთა, და ჭიწვრთიდ (ფს. 76. 6.\*)

**E**ნ ეობითა დै ვაჟკაცობით სახელ-განთქმულს,  
ჭკუით მაღალს და კეთილშობილს ებრაელთა  
მეფე-წინასწარმეტყველს დავითს, ომელიც  
იყო უხვად დაჯილდოებული მრავალ-გვარის  
სიკეთით, სხვათა შორის, ამკობდა და ამშვენებდა ის  
კეთილი, გონივრული, ყოვლად სასარგებლო დै ყვე-  
ლასაგან წასაბაძი ჩვეულებაც, ომ ყოველთვის და  
ყოველგან ახსოვდა თავისის ერის წარსული ცხოვ-  
რება, ბეჯითად და გულდასმით სწავლობდა თავისს  
წინაპართა თავ-გადასავალს, მათ ჭირსა და ლხინს,  
მათ ავ-კარგიანობას და ამით იწვრთებოდა, ე. ი. ამის-  
და მიხედვით, ამის დაკვირვებით და აწონით დაა-  
სკვნიდა ხოლმე, რა გვარი, ანუ რა ხასიათის გან-  
კარგულება და მოქმედება შესძენდა მის ერს ბედ-  
ნიერებას და იქნებოდა იმავე ღროს ღვთის საამო;  
მშობელის ერის განვლილ ცხოვრების გათვალის-  
წინებით, მამა-პაპათა წარსულის ბედის ცხადად წარ-  
მოდგენის დახმარებით გადასწყვეტდა ხოლმე, რა  
იყო საჭირო თანამედროვე მემამულეთათვის, რა

\* ) წარმოითქვა არხიმანდრიტის ლეონიდის მიერ 11  
იანვარს სიონის საკათედრო ტაძ რში.

არგებდა მის ქვეშევრდომებს, რა ააცდენდა თავიდ-  
გან განსაცდელს და სხ. ერთის სიტყვით, ამ მე-  
ფეს თავისის ცხოვრებისა და გამგებლობის გზის მა-  
ჩვენებელად, შუქ-მომფენ ლამპრად და მტკიცე ყა-  
ვარჯნად მიაჩნდა წინაპართა წარსული ცხოვრება  
და ამ რწმენას მოკლედ და მარტივად გამოსთქვამს  
იგი უკვე მოყვანილ სიტყვებში: „ვიგონებ დღეთა  
მათ პირველთა, და ვიწვრთიდ“.

ჩვენც, ხსენებულის წმიდა მეფისა მსგავსად  
შევკრებილვართ რა სიმრავლით ამ მამა-პაპეულ ძვე-  
ლის-ძველ სალოცავში, რომელიც მომსწრეა ჩვე-  
ნის სამშობლოს მრავალის ჭირისაც და ლხინისაც,  
ვიხსენებთ ჩვენდა გასაწვრთნელად საქართველოს  
ცხოვრებიდგან ერთს საგულისხმიერო და ლირს-  
შესანიშნავ დღეთაგანს. დიდი და პატარა, ქალი  
და კაცი მოვსულვართ აქ იმ აზრით, რომ მო-  
ვიგონოთ საქართველოს სახელოვანისა, ნიჭიერისა  
თავდადებულის, მოსიყვარულე პატრონ-ბატონისა,  
პატარა კახის, მეფე ერეკლეს ასი წლის გარდაცვა-  
ლების დღე. დღეს სწორეთ ერთი საუკუნე შეს-  
რულდა, სრულმა ასმა წელიწადმა განვლო მას შემ-  
დეგ, რაც მოისპო გმირთა გმირი მეფე ერეკლეს  
ქვეყნიური ცხოვრება, დღევანდელ დღეს ამ ასი  
წლის წინად გაწყდა სიცოცხლის ძაფი იმ მეფისა,  
რომლის სახელით ამაყობდა ყოველი ქართველი,  
რომლის შეხედვა გმირათა ჰქმნიდა მის ქვეშევრ-

დომისა, რომლის რიხიანი ხმა თავს ზარსა სცემდა  
საქართველოს აუარებელს მტრებს; დღეს დიდი და  
პატარა მოვსულვართ აქ იმ აზრით, რომ შევავედ-  
როთ ზეციერ მამას სული იმ მეფისა, რომლის გო-  
ნივრულმა და დიდად ბრძნულმა მოსაზრებამ შეგვა-  
ნარჩუნა სამშობლო ენა, შეგვინახა ეს და სხვა მრა-  
ვალი წმიდა ტაძარი, მამა-პაპათგან ნაშრომ ნაღვა-  
წი ჯვარ-სახარება, სასიქადულო სახელი ქრისტია-  
ნობისა, დაგვადუბინა ძირს სისხლის საღვრელი ბას-  
რი ფრანგული და დაგვაყენა მშვიდობისა, პატიო-  
სან შრომისა და ზნეობა-გონების სწავლა-განვითა-  
რების მტკიცე გზაზედ.

ღვთის საამო და ერთა შორის სასიქადულოა  
ეს ჩვენი საქციელი. პატივცემითი ხსოვნა, არ და-  
ვიწყება და ყოველთვის მაღლობით ხსენება იმათი,  
რომელთაც უღვაწიათ საზოგადო ბედნიერებისა-  
თვის, არ დაუზოგავთ თავიანთის სიცოცხლის  
მსხვერპლად შეწირვა მოძმეთა საკეთილდღეოდ და  
აღვსებულნი ყოფილან ღვთისა და მამულის უან-  
გარო სიყვარულით, შეადგენს შთამომავლობის  
უმაღლესს და უუსაღმრთოესს მოვალეობას. „იცი-  
ნა ხარმან მომგებელი და ვირმან ბაგა პატრონისა  
თვისისაო“, სწერს ღვთივ განბრძნობილი წინასწარ-  
მეტყველი ისაია (1, 3,) და რაზომ უმაღლერნი და  
უგუნურნი უნდა ვიყვნეთ ჩვენ, რომ დავივიწყოთ  
იმისი სახელი, რომელიც დამეც-კი არ აძლევდა

თავისს თავს მოსვენებას სამშობლოს კეთილდღეობისთვის შრომა-ფიქრის გამო, რომელიც პირველი იყო ყოველ გასაჭირში და იცოდა საოცარი გამხნევება ქვეშევრდომთა. „ძმებო, ყოველნი სიკვდილის შვილნი ვართ, გარნა სიკდილი მამულისა და მეფისათვის ყველაზე უდიდესია; გავწყდეთ ყველანი, მეც აქ თქვენში ვარ, ნუ უჩვენებთ მტერს ზურგს და ჩვენს გვარსა და სახელს ნუ მოვაყივნებთ“. რად მოგვცემს ღმერთი კეთილს, და რად წაგვიმართავს იგი ცხოვრებაში ხელს, თუ დავივიწყებთ და არ დავათხასებთ შრომას იმისას, რომელიც არასა ჰალხში ზნეობისა და სარწმუნოების აღდგენისათვის, რომელმაც სძლია ათასნაირი დაბრკოლებანი, შეჰქრიბა ქართლ-კახეთის შეყემს-მთავარნი და მათთან ერთად განარჩია და აღმოფხვრა ქართველთა შორის უწესოდ ქცევანი, დაუდვა მათ სჯული მტკიცე და შეურყეველი, გამართა სტამბა და აღავსო ყოველი ქართლი წიგნითა.

დიალ, დღეს ჩვენ ვხდილობთ ერეკლეს პატიოსანის სახელის წინაშე ზნეობრივ ვალს, ვასრულებთ ამ საღმრთო მოვალეობას სიამოვნებით, სიწრფოებით, ქრისტიანულს სასოებითა და მტკიცე იმედით, რომ ღმერთი შეისმენს ჩვენს ლოცვა ვეღრებას, ყურად იღებს ამოდენა ერის გულითადს ღალადს და მართალთა თანა განუსვენებს მონასა

თვისსა, კეთილ-მორწმუნესა მეფესა ჩვენსა ერეკ-ლეს, რომელიც მუდამ ქამს გამზადებული იყო შეეწირა თავისი თავი ზეარაკად მამულისა და სარწმუნოებისათვის; ამასთან ერთად დიდი და პატარა ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ლვთივ-გაბრწყინვებული სული პატარა კახისა გახარებულია დღეს ჩვენის საქციელით და თავისებრივის მხურვალე სიყვარულით შესთხოვს, ეხვეწება და ევედრება ზეციერს მამას, რომ უმეტ-ნაკლებოდ შევიგნოთ და შევითვისოთ, ჯეროვნად გავითვალისწინოთ და შესაბამად განვახორციელოთ იგი დიადი აზრი, რომელიც წინ წაიძოლა და სარჩულად დაუდო მან საქართველოს სვე-ბედის მძლავრ რუსეთთან დაკავშირებას.

ქრიქტიანობის შეურყევლად დაცვა, შენახვა დედა-ენისა შეუბლალავად, აღყვავება, განვითარება, წინ-მსვლელობა და ბედნიერება ერისა თავის სამშობლოსავე მიწა-წყალში, მამა-პაპათა სისხლით განპოხებულ მიღამოში, აუარებელ გმირების პატივსაცემი ძვლებითგაპატიოსნებულ ნიადაგზედ—აი ყვეის, რისთვისაც იბრძოდა და დაუძინებლად იღვწოდა მეფე ერეკ-ლე, რის გამოც ეკვეთებოდა ოსმალ-ყიზილბაშ-ლეკთა უთვალავ ლაშკართ, რის საპოვნელადაც აიხადა გვირგვინი, მოიხარა თავი რუსეთის ტახტის წინ, გადასცა თანამორწმუნე რუსეთის მძლავრ თვით-მპყრობელს ბისონი, დიადიმა,

სკიპტრა და სფეროი. ვინ არ იცის რა სავსებით, სისრულით და სინამდვილით, რა გვარის დიდ სულოვნობით და კეთილშობილურად, მამობრივის ერთგულობით და პატრონულის მზრუნველობით ასრულებდნენ და ასრულებენ დღევანდლამდის დიდბუნებოვანნი, ქრისტეს მმოსავნი და მძლავრნი რუსთა მეფენი ერეკლეს ანდერს და მის მხურვალე ხვეწნა-ვედრებას ქართველის ერის დაცვა-შენახვის, ქრისტიანობის განმტკიცებისა და ძვირფასის მამულის მოვლა-პატრონობის შესახებ? ვინ არ იცის, რა მტკიცედ და შეურყეველად დაიპყრეს ქართველის ერის თანაგრძნობა და ნდობა ჩვენმა მფარველმა და სარწმუნოებით ძმებმა — რუსებმა თავიანთი უანგარო, ქრისტიანობრივის პატიოსნების სათანადო ჩვენზედ გულ-შემატკივრობით, ჩვენი კეთილდღეობისათვის მზრუნველობით, ჩვენის სიხარულისათვის სიხარულით და ტკივილისათვის სიმგლოვიარით? ყოველი ამისი თვალ-საჩინო, ცხადი და უტყუარი საბუთი, სხვათა შორის, თვით ეს დღევანდელი დღეც არის: ეს დღევანდელი დღე, საგულისხმიერო განსაკუთრებით ქართველის ერის-თვის, ჩვენთან ერთად უცვნიათ პატივსადებად რუსეთის ტახტისა და ერის წარმომადგენლებსაც და ჩვენთან ერთად ძმურად, მეგობრულად, ქრისტიანობრივის ერთობით განუზრახავთ მათ მარად სახსოვარის ერეკლეს სულის შევედრება ღვთის მი-

მართ. აი, ეს უკანასკნელი გარემოება — გამოცხა-  
დება რუსეთის ერის წარმომაღვენელთა მიერ დღეს  
ქართველების მიმართ ერთგულობისა, მოქალაქო-  
ბრივის მეგობრობისა და ქრისტიანულის სიყვარუ-  
ლისა გვადებს აწინდელ ქართველებს ერთ გვარ  
მოვალეობას, რომლის დავიწყება და მომავალში  
არა განხორციელება გაგვხდის ზნეობრივ დამნაშა-  
ვედ, როგორც წინაშე ღიღებულის რუსის ერისა,  
ისე წინაშე ერეკლეს ბრწყინვალე სულისა. ეს დი-  
დი და შვილი-შვილთათვის საპასუხო ზნეობრივი  
მოვალეობა ის არის, რომ ამიერიდგან ყოველი  
ჩვენგანი თითონ უნდა შეგნებით და მოსაზრებით  
ხელს უწყობდეს ჩვენსა და რუსთა შორის სული-  
ერი კავშირის განწყობას, თითონ უნდა ჰშველო-  
დეს რუსებს და უადვილებდეს მათ იმ მძიმე ტვირ-  
თის განხორციელებას, რომელიც უღლად დაიდვეს  
საქართველოს შეერთებით, თითონ ჩვენ უნდა ვცდი-  
ლობდეთ აღვაშენოთ ჩვენი და რუსთა ერთობა  
მტკიცე და საიმედო საფუძველზედ. ამისთვის, ყო-  
ველი ქართველი მოვალეა სიყრმიდგანვე შეუდგეს  
თავისის თავის შესწავლის, თავისის ერის წარსუ-  
ლის ცხოვრების კვლევა-ძიებას, გულ-დადებით შეს-  
მენას მამა-პაპათა საქებურ ზნე-ხასიათთა, შეთვისე-  
ბას მათის პატიოსნების, დარბაისლობისა და მხნე-  
ობის და სხვათა სათნოებათა შესისხლ-ხორცებას.

საჭიროა მოვიპოვოთ და შევიძინოთ ყოველი  
ესე იმისთვის, რომ ჩვენი მფარველი ერი, ლვოის

1800

განგებით მოვლენილი პატრონ-ძმები ჩავახედოთ  
ძველის ქართველების სასიქადულო მოქალაქობრივს  
ცხოვრებაში, დავანახოთ მათ სიღიადე ქართველის  
კაცის ბუნებისა, სისრულე ქართველის ერის გო-  
ნებრივ განვითარებისა და ამ გვარად აღვზარდოთ  
მათში ის ძმური, ნათესაობრივი და მოყვასებრივი  
ჩვენდა გრძნობა, რომლის საპოვნელად მიეპყრა  
ერეკლეს თვალი რუსეთის ტახტის მპყრობელისაკენ  
და რომელიც არ მოჰკლებია საქართველოს მთე-  
ლის საუკუნის განმომავლობაში არც რუსის ერის-  
გან და არც მის მპყრობელთაგან. თვით რუსეთის  
სახელმწიფოს უგანათლებულესნი და უკეთილშო-  
ბილესნი შვილები გვასწავლიან, რომ ვისაც სი-  
ცოცხლე არ მოსძულებია და არ განუზრახავს თა-  
ვისის თავის ქვეყნიდამ აღვა, ვინც მოწადინებუ-  
ლი არ არის გადაქმნა-გადაგვარებას, სხვა ერის გა-  
მოუსადეგარ ბარგად და მავნე მეტ-ხორცად გახ-  
დომას, ის მხნედ უნდა ადგეს მამა-პაპათა ცხოვ-  
რების შესწავლის კვალსაო. და ეს ხომ ვცანით,  
რომ ყოველივე ამ განსაცდელს და სიგლახაკეს  
უფროთხოდა სამშობლოს მოყვარული მვფე ერეკლე,  
საქართველოს არსებობისა და კეთილ-დღეობისა-  
თვის მუდმივი ზრუნვა არ ვშორდებოდა არც დღე,  
არც დამე. ქართველის ერის არსებობისა და მი-  
სის ბედნიერების მოპოვების განუსაზღვრელმა სუ-  
რვილმა დაათმობინა მას მამა-პაპათაგან მემკვიდ-

რეობით მიღებული სამეფო გვირგვინი და ათქმე-  
ვინა სამუდამოდ უარი სამშობლოს გამგებლობი-  
საგან, რომელიც შეავეღრა და დაულოცა თანა-  
მორწმუნე რუსეთის ძალოვან მეფეებს. უკანას-  
კნელნი დიდად ჰმადლობდნენ უზენაესს ესოდენ  
სამშროო და დიადის ხვედრის მოვლენის გამო და  
მეფურად თავს იდვეს ქართველის ერის არსებობის  
დაცვა, მისის მშვიდობიანობის შეურყეველობა,  
მისის სულის თვისებათა შენახვა.

აი, რას გვამცნებს ყველას დღევანდელი დღე,  
რა ვალსა გვდებს დღევანდელი ეს ჩვენი კრება.  
მაშ მივიღოთ ჩვენც ამგვარი მცნება ჩვენს გარდუ-  
ვალ მოვალეობად და, შემდეგ მხურვალე ლოცვის  
აღვლენისა, მიუძღვნათ ჩვენის მხრით შესაწირავად  
სულით მნათობ ერეკლეს მტკიცე გარდაწყვეტი-  
ლება, რომ ამ დღიდგან ბეჯითად შეუდგებით ყვე-  
ლანი იმის შეგნებასა, შეთვისებასა და მოპოვებას,  
რის დასაცვავადაც იბრძოდა იგი სიყრმიდგან სი-  
კვდილამდე, ხოლო ბრწყინვალე რუსეთის მეფეე-  
ბი, რომლებმაც ჩაიბარეს საქართველო და, ეჭვი  
არაა, რომ დღეს ჩვენთან არიან სულიერად, გავა-  
ხაროთ და ვასიამოვნოთ მტკიცე და წრფელის აღ-  
თქმით, რომ რუსეთის ერის მამა-პაპათაგან ნაან-  
დერძევ განუსაზღვრელ სიყვარუს, მოქალაქებრივს  
ქრონბას და განუყოფელ ნათესაობას არ ვულალა-  
ტებთ. ამინ.

947.922  
gm 454

—→ 3560 5 353. ← —

5.80800650

200